კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №22ა/24-ში (საკ.კოდი 01.14.11.014.026) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გავლენის შესახებ მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე

ქ. თბილისში, ფალიაშვილის ქ. №22ა/24-ში (საკ.კოდი 01.14.11.014.026) საცხოვრებელი სახლი შედგება: 1 ავტოფარეხის, 1 საოფისე და 9 საცხოვრებელი სართულისაგან.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების რეკომენდაციიდან გამომდინარე, საძირკვლის კონსტრუქცია, სავარაუდოდ, იქნება 80 სმ დიამეტრის და 10 მ სიგრძის, ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, დაფუძნება მოხდება არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობაზე, საანგარიშო წინაღობით 85 კგ/სმ^2.

საპროექტო შენობის მიწისქვეშა ავტოფარეხის ნიშნული ტოლია -2,85 მეტრის.

საპროექტო შენობის აღმოსავლეთის მხრიდან, ფალიაშვილის ქ. №22 (საკ.კოდი 01.14.11.014.017) ემიჯნება სამსართულიანი ნაგებობა სარდაფით , რომლის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის მზიდი კედლები. სართულშუა გადახურვები შესრულებულია ხის კოჭებზე. შენობის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს b=60 სმ სიგანის ყორე-ქვის საძირკველი, რომელიც მიწის ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 1,8 მეტრზე.

დასავლეთის მხრიდან ფალიაშვილის ქ. №26 (საკ.კოდი 01.14.11.014.012) შენობას ემიჯნება მშენებარე ნაგებობა, რომლის სარდაფის სართულის ნიშნული იდენტურია საპროექტო ნაგებობის ავტოფარეხის ნიშნულის და შედგება 1 ავტოფარეხის, 1 საოფისე და 8 საცხოვრებელი სართულისაგან.

მშენებარე ნაგებობის კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი (სვეტები, რიგელები), გადახურვის კონსტრუქციას - რკინაბეტონის მონოლითური ფილა. ნაგებობის საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს 80 სმ დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯები, რომელთა დაფუძნება ისევე როგორც საპროექტო შენობისა ხდება არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობაზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე (ვინაიდან საპროექტო ნაგებობის ხიმინჯების შემკვრელი რანდკოჭების ძირის ნიშნულსა და არსებული სამსართულიანი სახლის საძირკვლის ძირებს შორის ნიშნულთა სხვაობა მიახლოებით ტოლი იქნება 1,5-1,8 მეტრის ტოლი), იმისათვის რომ საპროექტო შენობის აღმოსავლეთის მხრიდან მომიჯნავე, ფალიაშვილის ქ. №22, სამსართულიანი

ნაგებობის სარდაფით, მდგრადობა იყოს უზრუნველყოფილი, საპროექტო შენობასა და არსებულ ნაგებობას შორის უნდა მოეწყოს რკინაბეტონის მონოლითური ფარდა, სავარაუდოდ, ბურღვით ნატენი ხიმინჯებისაგან, რომელთა დიამეტრი, ჩაღრმავება და რიგების რაოდენობა, უნდა განისაზღვროს ანგარიშის მიხედვით. ხიმიჯების ჩამაგრება უნდა მოხდეს თიხნარში, საანგარიშო წინაღობით R_0=2,3 კგძ/სმ^2, E=208 კგძ/სმ^2.

დასავლეთის მხრიდან მომიჯნავე, ფალიაშვილის ქ. №26, ნაგებობაზე საპროექტო ნაგებობა გავლენას ვერ მოახდენს, ვინიდან ორივე ორივე ნაგებობის სარდაფის სართულის ნიშნულები, ფაქტიურად, იდენტურია და დაფუძნებაც ხდება ერთიდაიგივე ტიპის (ბურღვით-ნატენი ხიმინჯები) საძირკვლის კონსტრუქციით ერთიდაიმავე, პრაქტიკულად, უკუმშვად (არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა) გრუნტზე.

ზემოთაღნიშნული რეკომენდაციები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

დასკვნა

აღნიშნული რეკომენდაციების გატარების შემთხვევაში, ფალიაშვილის ქ. №22 და ფალიაშვილის ქ. №26-ში მდებარე ორივე მომიჯნავე შენობის მდგრადობა იქნება უზრუნველყოფილი.

ინჟინერ– კონსტრუქტორი ზ. კონტრიძე

11.01.2017წ.

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

№ ად-03

11 იანვარი, 2017 წ.

შპს „სესო"-ს დირექტორს
ბატონ ზაქარია ჩიბუხაშვილს

ჩვენს შორის 2017 წ. 10 იანვარს გაფორმებული №4 ხელშეკრულების თანახმად, გაბარებთ საექსპერტო დასკვნას „ფალიაშვილის ქ. №22ა/24-ში (საკ.კოდი 01.14.11.014.026) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გავლენის შესახებ, მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე".

პატივისცემით,
დირექტორი ბ. მირიანაშვილი

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
(საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი)
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი:	**ფელიქს კონტრიძე**
დაბადების თარიღი:	25 აპრილი, 1932 წ.
დაბადების ადგილი:	საქართველო, თბილისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა:	ქვრივი
შვილები:	ქალიშვილი
სახლის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0171, ს. ჩიქოვანის № 20, ბინა 7 ტელეფონი: (995 32) 33 31 60; მობილური: 555 595029
სამსახურის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №2; ტელეფონი: (995 32) 237 52 28

განათლება:
1951-56 წ.წ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

პროფესიული გამოცდილება:
1956 წლიდან 2010 წლამდე - სს „საქქალაქმშენპროექტი“ - ინჟინერ-კონსტრუქტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროექტის მთ. ინჟინერი, არქიტექტურული სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი, არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი, საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი.
2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ - მთავარი სპეციალისტი

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:
- არდაგანის საცხოვრებელი კომპლექსი ბორჯომსა და სოხუმში;
- კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლი ბორჯომში;
- პანსიონატი 250 ადგილზე გუდაუთაში;
- პანსიონატი 500 ადგილზე ბიჭვინთაში;
- კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი სახლი ბიჭვინთაში;
- გამომცემლობა „პრავდის“ დასასვენებელი სახლი ბიჭვინთაში;
- სამთავრობო დასასვენებელი აგარაკი მიუსერაში;
- პანსიონატი 300 ადგილზე სოხუმში;
- სახელმწიფო კანცელარიის რეკონსტრუქცია;
- სამხედრო კომისარიატი რუსთავში;
- ზესტაფონის რაიონული საავადმყოფო;
- მესტიის რაიონული საავადმყოფო;
- სასამართლო ყაზბეგში;
- სასამართლო ბორჯომში;
- ავტოსადგურები ახალციხეში, სოხუმში, ოზურგეთში, გაგრაში;
- პროფკავშირთა კულტურის სახლი;
- ეროვნული ბანკის რეკონსტრუქცია.
- ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება;
- ქ. ბორჯომში მდ. ბორჯომულას საყრდენი კედლების აღდგენა-გამაგრება;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი“;
- ონის რაიონში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენა-გამაგრების პროექტები;
- თეთრიწყაროს მუნიც. კოდის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია
- სოციალური მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად)

დირექტორი ბ. მირიანაშვილი


საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
№ 0I008015731
ფელიქს.
კონტრიძე
გვარი
დაბადების თარიღი 25.04.I932 წ.
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება ---
№ დ 0191710
პირადი ხელმოწერა


მისამართი ---
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის ვაკის
რ/ნის შს სამმართველო
გაცემის თარიღი I7.03.I998 წ.
მოქმედების ვადა
უვადო
ბ.ა. თანამშრომლის პირადი ხელმოწერა

Копия

ДИПЛОМ

Ш В 286002

Настоящий диплом выдан КОНТРИКОВУ Федору Васильевичу в том, что он в 1951 году поступил в Грузинский орден Трудового Красного знамени Сельскохозяйственный институт и в 1953 г. окончил полный курс названного института по специальности

ГИДРОМЕЛИОРАЦИЯ

Решением Государственной экзаменационной комиссии от 29 июня 1956 г.

Контрикову Ф.В.

Присвоена квалификация - инженера-гидротехника

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор /директор/ - подпись

М.П.

Секретарь - подпись /Мосулов/

Город Тбилиси 1956 г.

Регистрационный № 571.

13 июня 1956 г. Я, Элиз Зедгинидзе государственный нотариус 1-ой Тбилисской государственной нотариальной конторы свидетельствую верность этой копии с подлинником, в котором не оговорено зачеркнутых слов и особенностей не оговорено.

Взыскано согласно тарифу Нотариус: 2

По реестру № 18-27626.